სამართლის მაცნე 7/2021 • # 3

LEGAL ASPECTS OF EU MEMBERSHIP (PARTICIPATION) IN INTERNATIONAL ORGANIZATIONS

Irakli Papava

Master of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, International Law Expert, Lawyer at the Democratic Development Union of Georgia
Email: irakli.sdgk@gmail.com

ABSTRACT

Interaction and cooperation with international organizations (IOs) is an important component of the European Union's foreign policy. Through such interaction, it consistently and consciously promotes the introduction of its own norms and standards in international space, thereby trying to make this field more uniform and most favorable for itself. Its activity in the international arena including, signing of international agreements and participation (membership) in IOs is determined by the wide range of internal powers transferred by member states to the EU at the supranational level.

The EU's participation in IOs and the legal execution of such participation are conditioned by the specifics of the EU as a consolidated international actor, the powers of the EU institutions and the phenomenon of the parallel representation when both the EU itself and its member states are full members of the IOs. Exactly these matters are the subject of research in this article. Besides, the article presents the typology of EU relations with IOs, where the main criterion is the status of the EU in international organizations, which varies from full membership with the right to vote to the absence of any formal status. Accordingly, the article analyzes the case law of the Court of Justice of the European Union (in the context of the EU's international personality) including recent judgements, as well as international agreements and works of the EU-law researchers.

As a result of analysis of EU relations with various international organizations, it becomes possible to identify the main (general) character of such interaction; the more power resources and institutional capacity are concentrated at EU level in a particular area, the more likely it is to have more authority in an international organization of the same profile. Naturally, this increases the degree of institutionalization of its interaction with such an organization.

KEYWORDS: Personality, Organizations, Interaction

შესავალი

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედება ევროპის კავშირის (შემდეგში – „ეკ“, „კავშირი“, „ევროკავშირი“) საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამასთან, საერთაშორისო ასპარეზზე მის აქტიურობას, ხელშეკრულებების დადებას და საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობას წევრი სახელმწიფოების მიერ სუპრანაციონალურ დონეზე, ეკ-ის შიდა სფეროში გადაცემული უფლებამოსილებების დიდი მოცულობა განსაზღვრავს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგად მოცემულობაში ცალკეულ ქვეყნებთან კავშირის თანამშრომლობა გაცილებით უფრო შორს წავიდა, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ამ ორგანიზაციებთან კონსტრუქციული ურთიერთქმედება ევროკავშირისთვის სასურველ მიზნად რჩება, ვინაიდან იგი სრულად შეესაბამება მის მისწრაფებას, თავი დაიმკვიდროს როგორც გავლენიანმა საერთაშორისო აქტორმა. გარდა ამისა, მისთვის გაცილებით მოსახერხებელია, დიალოგი ერთ ორგანიზაციასთან აწარმოოს, ვიდრე მასში გაერთიანებულ თითოეულ წევრ სახელმწიფოსთან ცალ-ცალკე.

ბუნებრივია, საერთაშორისო ორგანიზაციებში ეკ-ის მონაწილეობა და ასეთი მონაწილეობის იურიდიული გაფორმება განპირობებულია ევროპის კავშირის, როგორც სახელმწიფოთა გაერთიანების, სპეციფიკით, მისი ინსტიტუტების უფლებამოსილებებით, საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი და წევრი ქვეყნების პარალელური მონაწილეობის ფენომენით, აგრეთვე კონკრეტულ საერთაშორისო ორგანიზაციათა სამართლებრივი თავისებურებებით. სწორედ ეს საკითხებია წინამდებარე სტატიის კვლევის საგანი. მის მეორე ნაწილში კი მოცემულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ევროკავშირის ურთიერთობების ტიპოლოგია, სადაც მთავარ კრიტერიუმად აღებულია კავშირის სტატუსი ამ ორგანიზაციებში. შესაბამისად, სტატიაში, ეკ-ის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ჭრილში, გაანალიზებულია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდეგში – ასევე „ECJ“, „ლუქსემბურგის სასამართლო“) პრაქტიკა, საერთაშორისო შეთანხმებები, აგრეთვე ევროპის კავშირის სამართლის მკვლევართა ნაშრომები.

1. ზოგადი დებულებები ევროპის კავშირის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის, უფლებაუნარიანობის შესახებ

ევროკავშირის საერთაშორისო უფლებაუნარიანობა მისი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შემადგენელი საკვანძო ელემენტია. საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებაუნარიანობა, როგორც წესი, მისი დამფუძნებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომელიც მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს. სწორედ იგი აძლევს საერთაშორისო ორგანიზაციას არა მარტო „დაბადების“, არამედ მისი „მშობლებისგან“ (ე.ი. დამფუძნებელი ქვეყნებისგან) განცალკევებული „პირის“ სტატუსის შეძენის შესაძლებლობას, უნარს, – დაამყაროს ურთიერთობები საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებთან. საბოლოო ჯამში, ეს თვისება განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციის სამართალსუბიექტობას, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ მისი დამფუძნებელი დოკუმენტის პირობებზეა დამოკიდებული. თუმცა ყველაზე ხშირად იგი მაინც საკუთრივ ამ ორგანიზაციის უფლებამოსილებებით ან მიზნებით, აგრეთვე მისი პრაქტიკით არის ნაკარნახევი.[1]

სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1986 წლის კონვენციის[2] მე-6 მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ „საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებაუნარიანობა, – დადოს ხელშეკრულებები, – რეგულირდება ამ ორგანიზაციის წესებით“. ეს უკანასკნელი გულისხმობს, კერძოდ, „ორგანიზაციის დამფუძნებელ აქტებს, მათ შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებს, აგრეთვე ორგანიზაციის დამკვიდრებულ პრაქტიკას“ (იხ. მუხ. 2, პუნ. 1, „j“ ქვეპუნქტი). მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ჯერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების (შემდეგში – ხელშეკრულება

[1] Shaw, M., 2017. International Law. 8th ed. Cambridge: Cambridge University Press, გვ. 991.

[2] Vienna Convention on the Law of Treaties between States and International Organizations or between International Organizations. Adopted on 21 March 1986 (ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_2_1986.pdf> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

EEC-ის შესახებ) 210-ე მუხლის, ხოლო შემდეგ ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების (შემდეგში – ხელშეკრულება EC-ის შესახებ) 281-ე მუხლის დებულებები ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ან მოგვიანებით – ევროპის გაერთიანების სამართალსუბიექტობის თაობაზემუდამბუნდოვანიიყო. გაუგებარირჩებოდა, ეს დებულებები სამართალსუბიექტობას წევრი ქვეყნების ეროვნული სამართლის შესაბამისად გულისხმობდა, თუ ისინი საერთაშორისო სამართალსუბიექტობასაც მოიცავდა. პრაქტიკაში კი ევროპის გაერთიანებასაც და „ლისაბონის ხელშეკრულებამდელ"* კავშირსაც გააჩნდა უდავო საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, რომლის რეალიზაციაც მათ მიერ დადებულ მრავალ საერთაშორისო შეთანხმებაში ხდებოდა;[3] ამასთან, „ეკ-ის საერთაშორისო სამართალსუბიექტობას კომპლექსური (სეგმენტური) ხასიათი ჰქონდა".[4]

ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებაში გაჩნდა ახალი შინაარსის 47-ე მუხლი, რომელიც ძალზე ლაკონური ფორმულირებით ადგენს, რომ „კავშირს გააჩნია სამართალსუბიექტობა", ანუ ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის ერთიანი სამართალსუბიექტობის აღიარების მიმართულებით წავიდა; შესაბამისად, იგი საერთაშორისო სამართლის ერთიანი სუბიექტი ხდება. მანამდე, დამფუძნებელი ხელშეკრულებები მხოლოდ მისი სამართლებრივი წინამორბედის – ევროპის გაერთიანების სამართალსუბიექტობაზე მითითებას შეიცავდა (იხ. ხელშეკრულება EEC-ის შესახებ, მუხ. 210, მოგვიანებით – ხელშეკრულება EC-ის შესახებ, მუხ. 281). ამასთან, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების 47-ე მუხლს განვრცობითი ახსნა-განმარტების დიდი პოტენციალი აქვს, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ იგი ერთდროულად ეკ-ის როგორც საერთაშორისო, ისე შიდა სამართალსუბიექტობის იურიდიულ საფუძვლად იქნეს განხილული. კავშირის სამართალსუბიექტობის საკითხის ამგვარი ახსნა-განმარტება ხელს უწყობს მისი უფლებაუნარიანობის გაძლიერებას, აწარმოოს მოლაპარაკებები საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც მას საერთაშორისო ასპარეზზე უფრო ეფექტიან და წონად პოლიტიკურ აქტორად წარმოაჩენს მესამე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში.

მოკლედ, ზემოაღნიშნულ 47-ე მუხლთან ერთად, თუკი ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებაში არსებულ ევროკავშირის საგარეო კომპეტენციის განმსაზღვრელ დებულებებსაც გავითვალისწინებთ (იხ. მუხ. 3(2), მუხ. 216(1)), აშკარა ხდება, რომ კავშირის უფლებაუნარიანობა დღეისთვის არა მარტო შიდა, არამედ საგარეო პოლიტიკის საკითხებსაც მოიცავს.[5] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეკ-ის დამფუძნებელმა დოკუმენტებმა, ფაქტობრივად, გაიზიარეს მისი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის განვრცობითი ახსნა-განმარტება, რომელიც ლუქსემბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ჯერ კიდევ 1970-იან წლებში იქნა ჩამოყალიბებული.[6]

2. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა ეკ-ის საგარეო პოლიტიკური კომპეტენციის შესახებ

დამფუძნებელი ხელშეკრულებების ნორმები ევროპის გაერთიანებებისა და ევროკავშირის კომპეტენციის შესახებ, მათ შორის საგარეო პოლიტიკის სფეროში, ხშირად ქცეულა ECJ-ს ახსნა-განმარტების საგნად, რომელმაც ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი დებულება ჩამოაყალიბა.

* იგულისხმება „ლისაბონის ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე" (მისი მოკლე სახელწოდებაა – „ლისაბონის ხელშეკრულება"). ხელმოწერილ იქნა 2007 წლის 13 დეკემბერს, ძალაშია 2009 წლის 1 დეკემბრიდან. მის საფუძველზე ეკ-ის სამართლებრივი საწყისების ძირეული რეფორმა განხორციელდა. მისი ოფიციალური სრული ტექსტის სანახავად იხ. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community. Official Journal of the European Union, C 306, 17 December 2007. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:C:2007:306:FULL&from=EN> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

3 Kuijper, P. J. and others, 2013. The Law of EU External Relations. Oxford: Oxford University Press, გვ. 1.

4 Кашкин, С. Ю., 2016. Право Европейского Союза: В 2 томах. Т. 1: Общая часть: Учебник для бакалавриата и магистратуры. М.: Юрайт, გვ. 292.

5 Лифшиц, И. М., 2019. Членство Европейского союза в международных организациях в контексте его право-субъектности. Московский журнал международного права. 1, გვ. 57.

6 პაპავა, ი., 2017. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები. თბილისი, გვ. 133.

ეკ-ის საგარეო კომპეტენციასთან დაკავშირებული პირველი „კლასიკური“ საქმე იყო 1970 წლის დავა, რომელშიც ევროკომისია ასაჩივრებდა წევრი ქვეყნების უფლებას, დაედოთ ევროპის შეთანხმება საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ (EART case).[7] მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა კომისიის სარჩელი, მან ამ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი ფუნდამენტური დებულებები ჩამოაყალიბა ევროპის გაერთიანების საგარეო კომპეტენციის შესახებ, რომლებიც კავშირის ინსტიტუტების საქმიანობას დღემდე განსაზღვრავს.

ერთ-ერთი ასეთი დებულების თანახმად, „საგარეო ურთიერთობებში გაერთიანება სარგებლობს უფლებამოსილებით, სახელშეკრულებო კავშირები დაამყაროს მესამე ქვეყნებთან, ხელშეკრულების პირველ ნაწილში განსაზღვრული მიზნების ყველა სფეროში“.[8] ამ დასკვნის ფორმულირებისას ECJ-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ხელშეკრულების მთელი სტრუქტურა (the whole scheme) მის მატერიალურ-სამართლებრივ დებულებებზე არანაკლებად უნდა იქნას გათვალისწინებული“.[9] საერთაშორისო შეთანხმებათა დადების უფლებამოსილება, სასამართლოს აზრით, გამომდინარეობდა არა მარტო ხელშეკრულების დებულებებიდან, რომლებიც გაერთიანების ინსტიტუტებს უშუალოდ ანიჭებდა ასეთ უფლებას (როგორც, მაგალითად, ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების შემთხვევაში), არამედ ხელშეკრულების სხვა დებულებებიდანაც, აგრეთვე გაერთიანების ინსტიტუტებისმიერ ასეთი დებულებებისფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტებიდან.[10] ამრიგად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ გაერთიანების ინსტიტუტებს საგარეო პოლიტიკური კომპეტენცია ხელშეკრულებებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ გათვალისწინებული შიდა კომპეტენციიდან გამომდინარე მიანიჭა. ამ ბოლო შემთხვევაში აუცილებელია, რომ გაერთიანების ინსტიტუტებმა დაიწყონ შესაბამისი სფეროს რეგულირება მეორადი სამართლის აქტებით. ასეთი შორს მიმავალი დასკვნების დამატებით საფუძვლად EC-ის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლი* იქცა. იგი ითვალისწინებს, რომ წევრი სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას იღებენ იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ხელშეკრულებიდან ან გაერთიანების ინსტიტუტების ქმედებებიდან (უპირველეს ყოვლისა, მათი სამართლებრივი აქტებიდან) გამომდინარეობს და თავს იკავებენ ნებისმიერი ისეთი ღონისძიების გატარებისგან, რომლებსაც შეუძლიათ, ხელი შეუშალონ ხელშეკრულების მიზნების მიღწევას. შესაბამისად, ECJ-ს აზრით, წევრ ქვეყნებს არ შეუძლიათ გაერთიანების ინსტიტუტების ფარგლებს მიღმა საკუთარ თავზე აიღონ ვალდებულებები (ე.ი. დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები), რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ წესებზე ან შეცვალოს მათი ფარგლები. ამასთან, ეს უკანასკნელნი დადგენილია გაერთიანების მიზნების მისაღწევად.[11]

სწორედ აღნიშნული დებულება დაედო საფუძვლად გაერთიანების შიდა და საგარეო კომპეტენციის „პარალელიზმის“ კონცეფციას, ანუ EART-ის პრინციპს (სასამართლოს მიერ განხილული საქმის სახელწოდებიდან გამომდინარე), რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გაერთიანების საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს რეგულირების შიდა კომპეტენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების საგარეო კომპეტენციასაც გულისხმობს. ამრიგად, ECJ-მ, როგორც გაერთიანების ინსტიტუტმა, დამფუძნებელი ხელშეკრულების ახსნა-განმარტების მეშვეობით, ფაქტობრივად, წევრი ქვეყნების ხარჯზე, გააფართოვა ამ ორგანიზაციის საგარეო პოლიტიკური კომპეტენცია; ანუ გაერთიანებამ დამატებითი უფლებამოსილებები საკუთარი ინსტიტუტის აქტის საფუძველზე შეიძინა.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ საშინაო სფეროში ნაგულისხმევი უფლებამოსილებების დოქტრინა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ პირველად ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების (ჩშჩ) უმაღლესი მმართველი ორგანოს მიმართ გამოიყენა ჯერ კიდევ 1956 წელს,[12] ე.ი. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნებამდე. ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ხელშეკრულების

[7] Judgment of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Council of the European Communities. - European Agreement on Road Transport, 31/03/1971, Case 22-70. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61970CJ0022> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[8] იქვე. § 14.

[9] იქვე. § 15.

[10] იქვე. § 16.

* ამჟამად ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე- 4 მუხლი.

[11] იქვე. § 22.

[12] Horspool, M. and others, 2006. European Union Law. 4th ed. New York: Oxford University Press, გვ. 92.

მიზნებისმიღწევისუზრუნველყოფისვალდებულების შესახებ ჩშჩ-ის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-8 მუხლის ზოგადი ფორმულირებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეს ორგანო „გარკვეული დამოუკიდებლობით" სარგებლობს იმ ღონისძიებების განსაზღვრასთან მიმართებით, რომელთა გატარება აუცილებელია ასეთი მიზნების პრაქტიკაში განხორციელებისთვის.[13] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავშირის ნაგულისხმევი უფლებამოსილებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ ორგანიზაციის განვითარებას, დღეისთვის ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 352-ე მუხლში* არის განმტკიცებული; მის თანახმად, საბჭოს შეუძლია ერთხმად მიიღოს აუცილებელი ზომები (ე.ი. სამართლებრივი აქტები) დამფუძნებელი ხელშეკრულებების ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად (ეკ-ის სამართლის ცნობილი მკვლევარი პროფესორი რობერტ შუტცე 352-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს „ნარჩენ კომპეტენციას" უწოდებს).[14] ეს მიზნები შეიძლება მოიცავდეს თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სივრცის შექმნასაც, შიდა ბაზრის საკითხებსაც, საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე ევროკავშირის ფასულობების წინ წამოწევასაც (იხ. დამფუძნებელი დოკუმენტებისადმი თანდართული N41 დეკლარაცია).[15] ამავე დროს, წევრმა ქვეყნებმა N42 დეკლარაციაში[16] ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 352-ე მუხლი არ შეიძლება იყოს ხელშეკრულებების შეცვლისა და კომპეტენციათა მინიჭების პრინციპისთვის გვერდის ავლის ფარული საშუალება. ზოგადი საერთაშორისო სამართლის სფეროში ნაგულისხმევ უფლებამოსილებათა დოქტრინა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენციას მის ფუნქციებს უკავშირებს, განისაზღვრა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს 1949 წლის საკონსულტაციო დასკვნაში საქმეზე – „გაეროში სამსახურისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ".[17]

EART-ის საქმეზე ECJ-ს გადაწყვეტილების ზოგიერთი ფორმულირება 2007 წელს თითქმის უცვლელად იქნა გადატანილი ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-3(2) მუხლსა და 216(1)-ე მუხლში. შესაბამისად, კავშირს გააჩნია მესამე ქვეყნებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებების დადების კომპეტენცია, თუ ეს უფლებამოსილება დამფუძნებელი დოკუმენტებით არის გათვალისწინებული, ასევე სამ სხვა შემთხვევაში: როდესაც შეთანხმების დადება: (1) აუცილებელია დამფუძნებელი ხელშეკრულებებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, (2) გათვალისწინებულია იურიდიულად სავალდებულო ეკ-ის სამართლებრივი აქტებით ან (3) ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს საერთო წესებზე, ან შეცვალოს მათი მოქმედების სფერო.[18]

ევროპის შიდა წყლის სატრანსპორტო გემების კონსერვაციის ფონდის დაფუძნების შესახებ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით 1977 წლის 26 აპრილის N1/76 დასკვნაში[19] ევროპის

[13] Judgment of the European Court of Justice, Fédération Charbonnière de Belgique v. High Authority of the European Coal and Steel Community, 16/07/1956, Case 8-55. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61955CJ0008> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

* ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე – EC-ის შესახებ ხელშეკრულების 308- ე მუხლი.

[14] Schütze, R., 2018. European Union Law. 2 nd ed. New York: Cambridge University Press, გვ. 235.

[15] Dokument 12016L/AFI/DCL/41. A.DECLARATIONS CONCERNING PROVISIONS OF THE TREATIES 41. Declaration on Article 352 of the Treaty on the Functioning of the European Union. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A12016L%2FAFI%2FDCL%2F41> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[16] Dokument 12016L/AFI/DCL/42. A.DECLARATIONS CONCERNING PROVISIONS OF THE TREATIES 42..Declaration on Article 352 of the Treaty on the Functioning of the European Union. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12016L/AFI/DCL/42> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[17] Advisory Opinion of the International Court of Justice, Reparation for injuries suffered in the service of the United Nations, 11/04/1949. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/4/004-19490411-ADV-01-00-EN.pdf> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021]. კერძოდ, გაეროს საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებული ერების „ორგანიზაცია განხილულ უნდა იქნეს როგორც ისეთი უფლებამოსილებების მქონე, რომლებიც თუმცა არ არის მითითებული წესდებაში, მაგრამ დასკვნა მათი არსებობის შესახებ ორგანიზაციის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებისთვის მიჩნეულია როგორც სავალდებულო, არსებითი". ამით, ფაქტობრივად, დასაბამი მიეცა ნაგულისხმევი კომპეტენციის დოქტრინას.

[18] Лифшиц, И. М., 2018. Некоторые аспекты взаимодействия международного финансового права и права Европейского союза. Вестник Балтийского федерального университета им. И. Канта. Серия: гуманитарные и общественные науки, 2, გვ. 9.

[19] Opinion of the European Court of Justice, Opinion given pursuant to Article 228 (1) of the EEC Treaty – "Draft Agreement establishing a European laying-up fund for inland waterway vessels", 26/04/1977, Opinion 1/76. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61976CV0001> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

მართლმსაჯულების სასამართლომ კვლავ მიუთითა, რომ საერთაშორისო ვალდებულებების აღების უფლებამოსილება შეიძლება წარმოიშვას არა მარტო ხელშეკრულების პირდაპირი მითითების შედეგად, არამედ იგი ასევე შეიძლება არაპირდაპირ (implicitly) გამომდინარეობდეს მისი დებულებებიდან (იყოს ნაგულისხმევი). სასამართლომ ასევე აღიარა გაერთიანების მიერ საგარეო კომპეტენციის განხორციელების შესაძლებლობა იმ შემთხვევებშიც, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული მიზანი, მაგრამ შესაბამისი სამართლებრივი აქტი ჯერ არ არის მიღებული.[20] ამასთან, გაერთიანების ვალდებულებები შეიძლება გამოიხატებოდეს არა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულების დადებაში, არამედ სხვა სახელმწიფოსთან ისეთ ურთიერთქმედებაში, რაც საერთაშორისო ორგანოს შექმნას გულისხმობს.[21]

2006 წლის 7 თებერვლის N1/03 დასკვნაში ECJ-მ აღიარა, რომ ევროპის გაერთიანებას გააჩნია ექსკლუზიური კომპეტენცია, დადოს ლუგანოს კონვენცია სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის საქმეებზე სასამართლო განსჯადობის, სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ.[22] მსგავსი შეთანხმების დადების თაობაზე გაერთიანების უფლებამოსილების არსებობის დადასტურების მიზნით, ლუქსემბურგის სასამართლომ აღნიშნულ დასკვნაში გაერთიანების კომპეტენციისა და საერთაშორისო შეთანხმების საგნის გაანალიზების დეტალური მეთოდოლოგია დაადგინა. კერძოდ, მან მიუთითა, რომ ამგვარი ანალიზის განხორციელებისას, „მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ გაერთიანების წესებისა და შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმების დებულებების მოქმედების სფერო“, არამედ ასევე „ამ წესებისა და დებულებების არსი და შინაარსი, რათა არ მოხდეს გაერთიანების წესების ერთგვაროვანი და თანმიმდევრული გამოყენებისა და მის მიერ ჩამოყალიბებული სისტემის ჯეროვანი ფუნქციონირების დონის შემცირება“.[23]

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში სასამართლომ Open Skies საქმეთა სერიაში გადახედა შეუზღუდავი „პარალელიზმის“ კონცეფციას, რომლის დროსაც კავშირს საგარეო უფლებამოსილებები ენიჭებოდა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შიდა კომპეტენციის განხორციელებას საჭიროებდა. შედეგად, ჩამოყალიბებულ იქნა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ შიდა კომპეტენცია საგარეო კომპეტენციის მინიჭების საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუკი ისინი ერთდროულად ხორციელდება.[24]

თუმცა ECJ-ს მიერ განხილული ბოლო საქმეები ნათლად მოწმობს, რომ ნაგულისხმევი უფლებამოსილებების დოქტრინა ამჟამად, ფაქტობრივად, „მეორედ დაბადებას“ განიცდის.[25] ერთ-ერთ ბოლოდროინდელ დასკვნაში მან დაადგინა, რომ ეკ-ს გააჩნია ექსკლუზიური კომპეტენცია, დადოს მარაკეშის ხელშეკრულება გამოქვეყნებული ნაშრომებისადმი უსინათლო, მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ინფორმაციის აღქმისას სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება არ განეკუთვნება ევროკავშირის საერთო სავაჭრო პოლიტიკას, მასში გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების არსი კავშირის საერთო ნორმების დიდ რაოდენობას მოიცავს. ამიტომ მისმა დადებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ასეთ ნორმებზე ან შეცვალოს მათი შემადგენლობა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-3(2) მუხლის თვალსაზრისით.[26]

ცოტა ხნის წინ განხილულ საქმეში – „გერმანია საბჭოს წინააღმდეგ“ – ლუქსემბურგის სასამართლომ შორსმიმავალი დასკვნა გააკეთა

[20] იქვე. § 4.

[21] იქვე. § 5.

[22] Opinion of the European Court of Justice, Competence of the Community to conclude the new Lugano Convention on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters, 07/02/2006, Opinion 1/03. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62003CV0001> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[23] იქვე. § 133.

[24] Judgment of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Federal Republic of Germany, 05/11/2002, Case C-476/98. § 83. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:61998CJ0476_SUM> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[25] Лифшиц, И. М., 2019. Членство Европейского союза в международных организациях в контексте его правосубъектности. Московский журнал международного права. 1, გვ. 59.

[26] Opinion of the Court of Justice of the European Union, Opinion on the Marrakesh Treaty to Facilitate Access to Published Works for Persons who are Blind, Visually Impaired or Otherwise Print Disabled, 14/02/2017, Opinion 3/15 of the Court (Grand Chamber). § 129. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62015CV0003> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

იმასთან დაკავშირებით, რომ „ევროპის კავშირს შეიძლება ჰქონდეს საგარეო კომპეტენცია, რომელიც სცდება იმ შემთხვევათა ფარგლებს, როდესაც მას ექსკლუზიური კომპეტენცია გააჩნია ევ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-3(2) მუხლის საფუძველზე“,[27] ვინაიდან „ევროპის კავშირის უფლებამოსილება საერთაშორისო შეთანხმებების დადების თაობაზე შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ ხელშეკრულებებით პირდაპირ გათვალისწინებული დელეგირების საფუძველზე, არამედ არაპირდაპირ გამომდინარეობდეს ხელშეკრულებების სხვა დებულებებიდან, აგრეთვე ამ დებულებების ფარგლებში ევ-ის ინსტიტუტების მიერ გატარებული ღონისძიებებისაგან“.[28]

ევ-ის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის, პოტენციური გავლენა საერთაშორისო სამართლის ნორმათა ფორმირებაზე, მეტწილად, დაკავშირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების შესახებ მის უფლებამოსილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში ფორმალური სტატუსის მიღების შესაძლებლობასთან. ქვემოთ განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი მონაწილეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები საკითხი.

3. ევროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის სამართლებრივი სპეციფიკა

ევ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 216(1)-ე მუხლი უფლებას ანიჭებს ევროკავშირს, დადოს შეთანხმებები არა მხოლოდ მესამე ქვეყნებთან, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც; 220(1)-ე მუხლის თანახმად, „კავშირი ნებისმიერი სახის მიზანშეწონილ თანამშრომლობას ამყარებს გაეროს ორგანოებთან და მის სპეციალიზირებულ დაწესებულებებთან: ევროპის საბჭოსთან, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან“, ამასთან, იგი „სათანადო ურთიერთობებს ინარჩუნებს ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან“. ფაქტობრივად, ხელშეკრულება ევ-ის ფუნქციონირების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებს ყოფს ევროკავშირისთვის პრიორიტეტულ (გაერო, ევროპის საბჭო, ეუთო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) და დანარჩენ ორგანიზაციებად.[29] გაერთიანების უფლება, ითანამშრომლოს მესამე ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის მიზნით, ECJ-მ ჯერ კიდევ 1977 წელს აღიარა ევროპის შიდა საწყალოსნო ტრანსპორტის ხომალდთა კონსერვაციის ფონდის შექმნის შესახებ შეთანხმების პროექტის თაობაზე ზემოხსენებულ დასკვნაში.[30]

მეორე მხრივ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულება როდი უშვებს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროპის კავშირის წევრობას. თუმცა ასეთი წევრობა შეიძლება პირდაპირ იყოს გათვალისწინებული საერთაშორისო ორგანიზაციის ფუძემდებელი დოკუმენტით. მაგალითად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) დაფუძნების შესახებ მარაკეშის შეთანხმების XI და XIV მუხლები ადგენს, რომ ევროპის გაერთიანებები ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი წევრები ხდებიან.[31] ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და მისი მონაწილე სახელმწიფოების წევრობა ასევე ოფიციალურად დაუშვა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO), საკუთარი წესდების II მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე[32] და 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

[27] Judgment of the Court of Justice of the European Union, Federal Republic of Germany v. Council of the European Unions, 05/12/2017, Case C-600/14. § 51. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62014CJ0600> წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[28] იქვე. § 45.

[29] Кашкин, С. Ю., "Ред." 2016. Право Европейского Союза: В 2 томах. Т. 1: Общая часть: Учебник для бакалавриата и магистратуры. М.: Юрайт, გვ. 292.

[30] Opinion of the European Court of Justice, Opinion given pursuant to Article 228 (1) of the EEC Treaty – "Draft Agreement establishing a European laying-up fund for inland waterway vessels", 26/04/1977, Opinion 1/76. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61976CV0001> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[31] Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization. Adopted on 15 April 1994. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/04-wto_e.htm> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[32] გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წესდების სანახავად იხ. Basic Texts of the Food and Agriculture Organization of the United Nations. Volumes I and II, 2017 edition. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.fao.org/3/K8024E/K8024E.pdf> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

საინტერესოა, რომ FAO-ს წესდების II მუხლის მე-4 პუნქტი ორგანიზაციის წევრობის პრეტენდენტი რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ გარკვეულ მოთხოვნებს აყენებს: იგი უნდა იყოს: (1) სუვერენული ქვეყნების მიერ დაფუძნებული (2) სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, (3) რომელსაც წევრმა სახელმწიფოებმა გადასცეს კომპეტენცია FAO-ს რეგულირების სფეროში შემავალ საკითხებში, (4) მათ შორის ასეთ საკითხებზე ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების ჩათვლით; გარდა ამისა, (5) გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციის სახელმწიფოების უმრავლესობა FAO-ს წევრი უნდა იყოს. წევრობის პრეტენდენტი საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ იმავე კრიტერიუმებს ადგენს გაეროს 1982 წლის კონვენციაც საზღვაო სამართლის შესახებ.[33]

ევროპის კავშირის წევრობა შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებაში შეტანილი შესწორებებით. ასე, მაგალითად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 2004 წლის 13 მაისის N14 ოქმით (ძალაშია 2010 წლის 1 ივნისიდან) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 59-ე მუხლს დაემატა ახალი შინაარსის მქონე მე-2 პუნქტი, რომელიც კონვენციასთან ევროკავშირის შეერთების შესაძლებლობას ადგენს.[34] ჰაგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის წესდებაში ცვლილებები ევროპის გაერთიანების მიმართვის შემდეგ შეიტანეს, იმისათვის, რომ მასში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა დაეშვათ.[35]

საერთოდ, „კლასიკურ“ საერთაშორისო ორგანიზაციებში და საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ ორგანოებში დაუშვებელია რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი წევრი ქვეყნების ერთდროული მონაწილეობა კენჭისყრის პროცესში. როგორც წესი, რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციას ხმების გარკვეული რაოდენობა ენიჭება, რაც მისი მონაწილეების რაოდენობის ტოლია, რომლებიც იმავე დროს საერთაშორისო ორგანიზაციის ან სახელშეკრულებო ორგანოს წევრები არიან (იხ. WTO-ს დამფუძნებელი შეთანხმება, მუხ. IX, პუნ. 1, FAO-ს წესდება, მუხ. II, პუნ. 10, ჰაგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის რეგლამენტი,[36] მუხ. 2).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია თევზჭერის მარეგულირებელი საერთაშორისო ორგანიზაციები, სადაც ევროკავშირს ასევე სრული წევრობა გააჩნია. მათ შორისაა ატლანტიკური ტუნასის კონსერვაციის საერთაშორისო კომისია (ICCAT), ჩრდილო-აღმოსავლეთის ატლანტიკური ოკეანის თევზჭერის კომისია (NEAFC) და სხვ. ამასთან, პრინციპული სხვაობა არსებობს WTO-სა და FAO-ს მსგავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და თევზჭერის მართვის ამ ორგანიზაციებში ეკ-ის წევრობას შორის: პირველ შემთხვევაში კავშირი ორგანიზაციის წევრი თავის მონაწილე ქვეყნებთან ერთად არის, ანუ ადგილი აქვს პარალელურ წარმომადგენლობას მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში პარალელური მონაწილეობა არ არსებობს და ევროკავშირი, როგორც კონსოლიდირებული საერთაშორისო აქტორი, საკუთარი წევრი სახელმწიფოების გარეშე იცავს ორგანიზაციის ინტერესებს.[37]

გაეროში ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ 1974 წელს მოიპოვა გენერალური ასამბლეის დამკვირვებლის სტატუსი, რაც ნიშნავს როგორც სესიების საქმიანობაში, ისე კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების მუშაობაში მონაწილეობის შესაძლებლობას.[38] 2011 წლის 3 მაისს, 88-ე პლენარულ სხდომაზე, გენერალურმა ასამბლეამ

[33] გაეროს 1982 წლის 10 დეკემბრის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021]. კერძოდ, კონვენციაში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობას მისი 305-ე მუხლი განამტკიცებს, ხოლო ის კრიტერიუმები, რომლებსაც გაწევრიანების მსურველი საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს, კონვენციის IX დანართშია განსაზღვრული.

[34] მუხლი17,ადამიანისუფლებათადაძირითადთავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი N14 „კონვენციის საზედამხედველო სისტემაში შესწორებების შეტანის შესახებ“.

[35] ჰაგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციაში გაერთიანების გაწევრიანების ისტორია დაწვრილებითაა აღწერილი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების პრეამბულაში. – იხ. Council Decision 2006/719/EC of 5 October 2006 on the accession of the Community to the Hague Conference on Private International Law.

[36] იხ. Rules of Procedure. Hague Conference on Private International Law. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/rules-of-procedure> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[37] Моисеева, Д. Э., 2018. Взаимодействие Европейского союза с международными организациями в контексте организационной теории. Вестник Пермского университета. Серия: Политология, Т. 12, 4, გვ. 156.

[38] გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 11 ოქტომბრის 3208 (XXIX) რეზოლუცია გენერალური ასამბლეაში ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სტატუსის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/RES/3208%28XXIX%29> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

აღნიშნა, რომ „ევროპის კავშირმა შეცვალა ევროპის გაერთიანება“ და, რომ ეკ-ის წევრმა სახელმწიფოებმა საგარეო წარმომადგენლობის ფუნქციები ინსტიტუტების წარმომადგენლებს (ევროპული საბჭოს თავმჯდომარეს, კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ევროპის კომისიას და ევროკავშირის დელეგაციებს) დააკისრეს. ამ სხდომაზე მიღებული 65/276 რეზოლუცია ითვალისწინებს დამკვირვებლის რანგში ეკ-ის მონაწილეობის ფორმებს გენერალური ასამბლეის მუშაობაში,[39] რაც მკვლევართა მიერ შეფასებულია როგორც „გაფართოებული ან გაძლიერებული დამკვირვებლის“ სტატუსის მინიჭება.[40] ამავე დროს, გაეროში სრულუფლებიან წევრად კავშირის მიღების ალბათობა მიზერულია, ვინაიდან იგი მთლიანად სახელმწიფოებზეა ორიენტირებული, წევრობას მხოლოდ სუვერენული ქვეყნებისთვის ითვალისწინებს და არა ეკ-ის მსგავსი სუპრანაციონალური გაერთიანებებისთვის. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ევროკავშირისთვის, გაეროს 50-ზე მეტი მრავალმხრივი შეთანხმების ხელმომწერი და მისი ზოგიერთი სტრუქტურის სრულფასოვანი მონაწილე გამხდარიყო. კერძოდ, მას საკუთარი დელეგაციები ჰყავს გაეროს ისეთ სააგენტოებსა და სტრუქტურებში, როგორებიცაა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და სხვ. ამასთან, თანამშრომლობა მხოლოდ პოლიტიკურ დიალოგს როდი ემყარება; კავშირი მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას უწევს გაეროს პროგრამებსა და პროექტებს, რომლებიც საფინანსო და ადმინისტრაციული ჩარჩო შეთანხმებების საფუძველზე ხორციელდება. შესაბამისად, ყოველწლიურად მხარეებს შორის 1000-ზე მეტი შიდა საკოორდინაციო შეხვედრა იმართება ნიუ-იორკში, ჟენევასა და ვენაში, საერთო პოზიციის შემუშავების მიზნით.[41]

იმ შემთხვევებში, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები ერთდროულად არიან როგორც ევროპის კავშირი, ისე მისი მონაწილე ქვეყნები (ე.წ. შერეული წევრობა), ისინი ახორციელებენ დამფუძნებელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ და პრინციპის რანგში აყვანილ ვალდებულებას იმის თაობაზე, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს „ლოიალური თანამშრომლობა“ კავშირსა (მის ინსტიტუტებსა) და წევრ სახელმწიფოებს შორის. მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საერთაშორისო შეთანხმებების დადების თაობაზე გაერთიანების კომპეტენციასთან დაკავშირებით 1994 წლის 15 ნოემბრის N1/94 დასკვნაში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ „თანამშრომლობის ვალდებულება გამომდინარეობს გაერთიანების საერთაშორისო წარმომადგენლობის ერთიანობის მოთხოვნიდან“.[42]

ცალკეულ შემთხვევებში კავშირის (გაერთიანების) სამართლებრივი აქტი ადგენს საერთაშორისო ორგანოსთან ამ ევროპული გაერთიანებისა და მისი წევრი ქვეყნების ურთიერთქმედების წესებს. მაგალითად, „კოდექს ალიმენტარიუსის“ კომისიასთან (FAO-სა და WHO-ს ერთობლივ კომისიასთან) ევროპის გაერთიანების შეერთების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების დანართში მოცემული იყო შეთანხმება საბჭოსა და კომისიას შორის აღნიშნული კოდექსის მომზადების თაობაზე.[43] ამ დოკუმენტის 2.2 პუნქტით, წევრ ქვეყნებს დაევალათ კოდექსის მიხედვით კომისიის ცირკულარებზე დამოუკიდებელი პასუხისგან თავის შეკავება, – მაშინ, როცა კომისია დაადგენს, რომ საჭიროა ერთობლივი პასუხი.

როდესაც ესა თუ ის საკითხი ევროკავშირის

[39] Resolution 65/276. Participation of the European Union in the work of the United Nations, pp. 31-33. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/pdf?symbol=en/A/65/49%20(VOL.%20III)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021]. რეზოლუციის თანახმად, ევროკავშირის სტატუსი გაფართოვდა; ამიერიდან მის წარმომადგენლებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ზოგად დებატებში, წინასწარი შეთანხმების გარეშე სიტყვით გამოვიდნენ გენერალური ასამბლეის სხდომებზე და, რაც მნიშვნელოვანია, დაიცვან ეკ-ის, როგორც საერთაშორისო აქტორის, პოზიცია.

[40] Kuijper, P. J. and others, 2013. The Law of EU External Relations. Oxford: Oxford University Press, გვ. 208.

[41] Павельева, Э. А., 2011. Формирование международной правосубъектности Европейского союза. Сибирский юридический вестник, 2 (53), გვ. 130.

[42] Opinion of the European Court of Justice, Competence of the Community to conclude international agreements concerning services and the protection of intellectual property - Article 228 (6) of the EC Treaty, 15/11/1994, Opinion 1/94. § 108. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A61994CV0001> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[43] Arrangement between the Council and the Commission regarding preparation for Codex Alimentarius. - Meetings and statements and exercise of voting rights (Annex III to Council Decision 2003/822/EC of 17 November 2003 on the accession of the European Community to the Codex Alimentarius Commission). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/eli/dec/2003/822/oj> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

ექსკლუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება, მაგრამ ეს უკანასკნელი არ არის საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე ან საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მაშინ კავშირის ინტერესებს გამოხატავს ეკ-ის წევრი სახელმწიფო, რომელიც გაერთიანების ერთგვარ წარმომადგენლად გამოდის.[44] მეტიც, ასეთ შემთხვევაში წევრი ქვეყანა არაა უფლებამოსილი, განახორციელოს თავისი მონაწილეობის უფლება. მაგალითად, საქმეში – „ევროპის გაერთიანებების კომისია საბერძნეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ" – ECJ-მ მიუთითა, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში (საუბარი იყო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაზე) თუნდაც არამავალდებულებელი წინადადების წარდგენა არამართლზომიერი ქმედებაა, მაშინაც კი, როდესაც თვითონ გაერთიანება ამ ორგანიზაციის წევრი არ არის.[45]

პერფლუოროკტანის სულფონატის საქმეში (PFOS case) სასამართლომ მიუთითა, რომ ლოიალური თანამშრომლობის ვალდებულება ვრცელდება წევრი სახელმწიფოს ქმედებებზე კონვენციის საფუძველზე შექმნილ ორგანოში და იმ შემთხვევებში, როცა ეს ქვეყანა მოქმედებს თავისი (ეკ-ისთვის არადელეგირებული) კომპეტენციის ფარგლებში.[46] სხვა საქმეში ECJ-მ მხარი დაუჭირა კომისიას, რომლის მტკიცებით, ირლანდიას უფლება არ ჰქონდა საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალში შეეტანა სარჩელი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს გაერთიანების სამართლებრივი სისტემის ავტონომიას.[47] სასამართლომ აღნიშნა, რომ ის წესები, რომლებიც ირლანდიამ დიდი ბრიტანეთის მიმართ თავის პრეტენზიებს დაუდო საფუძვლად, სრულად არის მოცული გაერთიანების სამართლებრივი აქტებით და, შესაბამისად, ისინი გაერთიანების კომპეტენციას, მის მართლწესრიგს, აგრეთვე ECJ-ს ექსკლუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება, EC-ის შესახებ ხელშეკრულების 292-ე მუხლის* საფუძველზე.[48] ამასთან, თვით საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციის 282-ე მუხლიც დავების გადაწყვეტისას პრიორიტეტს კონვენციის მონაწილეებს შორის ცალკე შეთანხმებით (მოცემულ შემთხვევაში – EC-ის შესახებ ხელშეკრულებით) გათვალისწინებულ პროცედურას ანიჭებს.

ეკ-ის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონტექსტში, გამორჩეულად საინტერესოა მისი ურთიერთქმედების სპეციფიკა ევროპის რეგიონში მოქმედ „კონკურენტ" საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ევროპის საბჭოსა და ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები ამ უკანასკნელის დაფუძნებისთანავე დამყარდა – 1957 წელს. თუმცა მრავალი ათწლეულის განმავლობაში საქმე ორმხრივი დეკლარაციების იქით არ წასულა. მხოლოდ 1992 წელს დაიწყო პირველი ერთობლივი პროგრამები ადამიანის უფლებების დაცვისა და განათლების სფეროში. თანამშრომლობის უახლესი ეტაპი 2007 წელს ურთიერთგაგების მემორანდუმის[49] ხელმოწერით აღინიშნა. დღეისთვის ამ ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთქმედება განზრახვათა შესახებ 2014 წელს ხელმოწერილ დეკლარაციას[50] ეფუძნება. მართალია, ეკ-ს თავისი დელეგაცია ჰყავს ევროპის საბჭოში, მაგრამ დამკვირვებლის ფორმალური სტატუსი მას არ გააჩნია. მეტიც, იგი უგულებელყოფს ასეთი სტატუსის შეძენის შესაძლებლობას (ამის მიზეზზე საუბარი ქვემოთ

[44] Cremona, M., 2009. Member States as Trustees of the Community Interest: Participating in International Agreements on Behalf of the European Community. EUI Working Papers. LAW 2009/17. Department of Law, გვ. 13. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/12881/LAW_2009_17.pdf?sequence=1&isAllowed=y> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[45] Judgement of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Hellenic Republic, 12/02/2009, Case 45/07. § 26, 31, 38. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62007CJ0045 > [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[46] Judgment of the Court of Justice of the European Union, European Commission v. Kingdom of Sweden, 20/04/2010, Case C-246/07. § 103-105. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62007CJ0246 > [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[47] Judgement of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Ireland, 30/05/2006, Case 459/03. § 124. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=ecli:ECLI:EU:C:2006:345 > [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

* ამჟამად – ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 344-ე მუხლი.

[48] Judgement of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Ireland, 30/05/2006, Case C-459/03. § 119-123. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=ecli:ECLI:EU:C:2006:345 > [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[49] Memorandum of Understanding between the Council of Europe and the European Union. Signed in Strasbourg on 23 May 2007. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < https://eeas.europa.eu/sites/default/files/mou_2007_en.pdf> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

[50] Statement of Intent for the cooperation between the Council of Europe and the European Commission. Signed in Brussels on 1 April 2014. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/168066b99e > [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

გვექნება). თუმცა ეს გარემოება ხელს არ უშლის ამ ორ ორგანიზაციას, ათეულობით ერთობლივი პროექტი განახორციელოს.

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ურთიერთობებში „შებრკოლების ლოდად" ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (შემდეგში – „კონვენცია") იქცა, რომლის მონაწილე ეკ-ის ყველა წევრი სახელმწიფოა, მაგრამ არა – თავად ევროპის კავშირი. ამასთან, კონვენციასთან შეერთება სულაც არ ნიშნავს, რომ კავშირი ავტომატურად ხდება ევროპის საბჭოს წევრი. ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების საფუძველზე, ეკ-ის შესახებ ხელშეკრულების მე-6(2) მუხლით ევროკავშირმა აიღო კონვენციასთან შეერთების ვალდებულება, რისი პირობებიც მისი დამფუძნებელი ხელშეკრულებებისადმი თანდართული N8 ოქმით[51] წინასწარ იქნა შეთანხმებული. მთავარი პირობა იყო, რომ ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს შეენარჩუნებინა წევრ ქვეყნებს შორის კავშირის სამართალთან დაკავშირებულ საკითხებზე წამოჭრილი დავების განხილვის ექსკლუზიური უფლება, – მაშინაც კი, თუ საერთაშორისო დავების მოგვარების სხვა მექანიზმები გამოიყენება. კონვენციასთან შეერთების შემთხვევაში კი, პირიქით, კავშირის ინსტიტუტები საგარეო კონტროლის ობიექტი გახდება. ამას მოჰყვება, მაგალითად, ის, რომ კომისიის გადაწყვეტილებები ჯარიმების დაკისრების შესახებ, ან თავად ECJ-ს გადაწყვეტილებები, თეორიულად, შეიძლება გასაჩივრდეს. სწორედ ამიტომ ევროპის პარლამენტის, საბჭოსა და წევრი ქვეყნების მხარდაჭერის მიუხედავად, 2014 წლის ბოლოს ლუქსემბურგის სასამართლომ, ეკ-ის დამფუძნებელ ხელშეკრულებებთან შეუსაბამობის საბაბით, უარყოფითი დასკვნა გამოიტანა კონვენციასთან ევროკავშირის შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით.[52]

ასეთი გადაწყვეტილების ერთ-ერთი მოტივი თანამოპასუხეობის მექანიზმის შემოღების თავიდან აცილება იყო, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, განეხილა დავები ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის კომპეტენციების განაწილების თაობაზე, რისი ექსკლუზიური უფლებაც ამჟამად მხოლოდ ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს აქვს. არსებითად, ეს მექანიზმი ხელყოფს კავშირის მართლწესრიგის ავტონომიურ ხასიათს და შესაძლებლობას აძლევს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომ ECJ-ს პრაქტიკის ინტერპრეტაცია მოახდინოს, რაც საფრთხეს უქმნის ამ უკანასკნელის ექსკლუზიურ კომპეტენციას.[53] დაბოლოს, სასამართლომ მნიშვნელოვანი დასკვნა ჩამოაყალიბა: „[...] თვით ეკ-ის სამართლის არსი [...] მოითხოვს, რომ ურთიერთობები წევრ ქვეყნებს შორის რეგულირდებოდეს ევროკავშირის სამართლით, ნებისმიერი სხვა სამართლის გამორიცხვით, თუკი ამას ეკ-ის სამართალი ითხოვს".[54]

